


# გამოდის სტუდენტთა სამეცნიერო-სამართლებრივი ჟურნალი „კამათელი“ №3

იურიდიული ფაკულტეტებისა და ზოგადად, იურისპრუდენციით დაინტერესებულ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, გამოაქვეყნონ მათი სამართლებრივი ნაშრომები, რომლებიც შესრულებულია სასწავლო კურსის ფარგლებში თუ მის გარეთ

შემოსული მასალებიდან გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს შეარჩევს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ შინაარსობრივ-თემატურ მოთხოვნებსა და ტექნიკურ-სტრუქტურულ პარამეტრებს:

- ნამუშევარი უნდა შეეხებოდეს რაიმე სამართლებრივ პრობლემას, რომლის არჩევაც ავტორზეა დამოკიდებული და რომელიც შესაძლებელია, წარმოშობილი იყოს სამართლის ნებისმიერი დარგიდან;
- სატიტულო გვერდზე მითითებულ უნდა იქნეს ავტორის სახელი და გვარი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სრული დასახელება, ფაკულტეტი (საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება), სემესტრი, ნაშრომის სათაური და მისი შესრულების დრო;
- აუცილებელია ნამუშევარისთვის განსაზღვრული ფორმის დაცვა, კერძოდ ნაწერში ურთიერთგამიჯნადი უნდა იყოს შინაარსი (სარჩევი), შესავალი ნაწილი – ერთგვარი აბსტრაქტი, რომელშიც იდენტიფიცირებული იქნება კონკრეტული პრობლემა კვლევის მიზანთან ერთად და შემდგომ ჩამოყალიბებული იქნება ავტორისეული თეზისები, ნაშრომის ძირითადი ნაწილი, რომელშიც საკითხთა ფართო და კომპლექსური განხილვა იქნება მოცემული და დასკვნითი ნაწილი, რომელიც მოკლედ შეაჯამებს კვლევის შედეგებს;
- სავალდებულოა, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის, შენიშვნებისა და დამატებითი ინფორმაციის მითითება სქოლიოების სახით, რაც დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით, ხოლო დასასრულ მოცემული უნდა იყოს ბიბლიოგრაფიული და ელექტრონული წყაროების ჩამონათვალი;
- ნაშრომის ტექსტის შრიფტი უნდა იყოს AcadNusx, ზომა – 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა – 14–16, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) – 2 სმ-ის სიგანის;
- სასურველია ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითება სამეცნიერო ხარისხის, აკადემიური თანამდებობისა და საკონტაქტო ინფორმაციის თანდართვით.

მსურველებს გთხოვთ, ნამუშევრები გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

kamateli@tsu.ge; საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: 855 566776; 898 245527